პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 186 (11190)

ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი კუიბიშევში (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პ. მენდეს-ფრანსი (1-ლი გვერდი).

მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი! — აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვა საქართველოს სსრ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი (1-ლი გვერდი).

სოციალისტური შრომის გმირები. — **ა. ხუჰუა.** — მთების გულში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **მ. ხეთაგური.** — კომუნისტი მექანიზატორები (მე-2 გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის 1958 წელს! — **საზოგადოებრივ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა!** (მე-2 გვერდი).

ე. ტაკიძე. — ქუთაისის მშრომელები ემზადებიან თბილისის იუბილესათვის (მე-3 გვერდი).

ქართული აბრეშუმის ქსოვილები საუკეთესო უნდა იყოს (მე-3 გვერდი).

ფელეტონი. — **ვ. გოზალიშვილი, გ. ხეჩუაშვილი.** — „მოლაპარაკე" ფოტოსურათები და „სამურაბე" [illegible]

სსრ კავშირის ეროვნული დელეგაციის ბრიგადა სელის მსოფლიო [illegible]

კ. ე. ვოროშილოვმა [illegible] ჩეხოსლოვაკიის პავილიონები და არაბული ქვეყნების გაერთიანებული პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე პრიუსელში (მე-4 გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვმა საბჭოთა ორდენები გადასცა ბელგიელ მოქალაქეებს (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

2.000.000 ტონა სილოსისათვის!

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს გაიმართა, სერიოზული ღონისძიებები დასახა რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გადიდდა მისი პროდუქტიულობა. მაგრამ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

საქმე ის არის, რომ პირველმა წარმატებებმა წველადობის გადიდებაში ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგის თვითდამშვიდება გამოიწვია. წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთი საფურაქე ძროხის წველადობამ 1.500 კილოგრამი უნდა შეადგინოს. ამის შესაბამისად 1 აგვისტოსათვის უნდა მოწველილიყო სულ ცოტა 1.035 კილოგრამი, ფაქტიურად კი მოწველილია 745 კილოგრამი, რაც ვალდებულების 49,7 პროცენტს შეადგენს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, მისი პროდუქტიულობის თვალსაჩინოდ გადიდების საფუძველთა საფუძველს მტკიცე საკვები ბაზა წარმოადგენს. მოწინავე რაიონები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, ითვალისწინებენ რა ამას, ყოველმხრივ აძლიერებენ მარცვლეულის წარმოებას, აღწევენ მის მაღალ მოსავლიანობას. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს სიმინდი, რომლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სილოსს. შარშან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩადებულ იქნა ერთ მილიონამდე ტონა სილოსი. მაგრამ მდგომარეობამ დაგვარწმუნა, რომ ეს რაოდენობა სრულებითაც არ იყო საკმარისი. რაც უფრო მეტია სილოსი, მით უფრო იქმნება საუკეთესო პირობები წველადობის ზრდისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. გაითვალისწინეს რა ეს გარემოება, ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს წელს დაამზადონ ორი მილიონი ტონა სილოსი. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ახლა მთელ რიგ რაიონებში სერიოზულ მუშაობას ეწევიან. კურსკელთა მაგალითისამებრ საგარეჯოელმა და ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმა დიდი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს, იკისრეს გაეფართოებინათ სიმინდის ნათესები, კარგად დაემუშავებინათ და საშუალოდ ჰექტარზე მიეღოთ 350-400 ცენტნერი სიმინდის მწვანე სასილოსე მასა. ამ საყურადღებო თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ყველა რაიონის სოფლის მშრომელები.

ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოპოვებული აქვთ ერთგვარი წარმატება სილოსის დამზადებაში. ზოგიერთმა კოლმეურნეობამ უკვე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. საერთოდ რესპუბლიკაში სილოსის დამზადება არასახარბიელო სურათს იძლევა. 10 აგვისტოსათვის სულ ჩადებულია 314,4 ათასი ტონა სილოსი, ანუ ნაკისრი ვალდებულების მხოლოდ 15.7 პროცენტი. მდგომარეობა მართლაც ჩამაფიქრებელია. გარდაბნის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, ხაშურის, ჯასპის, ქარელის, ამბროლაურის რაიონების კოლმეურნეობები, რომლებმაც არსებულ შესაძლებლობასთან შედარებით სილოსის დამზადების მცირე ვალდებულება აიღეს. ხელიდან უშვებენ დასილოსების საუკეთესო ვადებს და არ იყენებენ ამ ძვირფასი და იაფი საკვების წარმოების გასადიდებლად არსებულ ყველა შესაძლებლობას.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც 47 ათასი ტონა სილოსი უნდა ჩაიდოს, დამზადებულია მხოლოდ 6,8 ათასი ტონა, ანუ დავალების 14,4 პროცენტი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ რაიონს 4,5 ათასი ტონით ნაკლები სილოსი აქვს დამზადებული გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ეს იმ დროს, როცა თეთრი წყაროს მსგავს პირობებში მყოფ ბოგდანოვკის, ასპინძის, ომანისის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების კოლმეურნეობებში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, იქ 10 აგვისტოსათვის ერთიორად მეტი სილოსი აქვთ დამზადებული, ვიდრე 1957 წლის შესაბამის პერიოდში.

რესპუბლიკის უმრავლეს რაიონებში სიმინდმა უკვე მიაღწია სასილოსე სიმწიფეს. მიუხედავად ამისა, სიმინდის აღება-დასილოსება ადგილებზე ჯერ კიდევ მასობრივად არ გაჩაღებულა.

ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არის საკვების დასილოსების წესების უხეშად დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის და სოფელ ახალი ულიანოვკის კოლმეურნეობებში სილოსს შეუკეთებელ ნაგებობებში დებდნენ. სასილოსე მასა წესიერად არ იტკეპნებოდა, მისი გადახურვა უხარისხოდ წარმოებდა; ბევრგან ცუდად იყენებენ ტექნიკას, სილოსის დამზადება მექანიზებული არ არის იქაც, სადაც ამის შესაძლებლობაა.

შარშან სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება მიწისზედა დასილოსების მეთოდმა, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა ფულადი და შრომითი დანახარჯები ტონა სილოსის წარმოებაზე. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში უგულებელყოფენ ამ პროგრესული მეთოდით სილოსის დამზადებას.

ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი, რომლებსაც საკვების დასილოსების საქმეში ვხვდებით, სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ სილოსის დამზადების ტემპი, დაუღალავად იბრძოლონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

წელს ორი მილიონი ტონა სილოსის დამზადება ჩვენი რესპუბლიკისათვის სავსებით რეალურია. ამ ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის ყველა შესაძლებლობა გვაქვს.

ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი კუიბიშევში

კუიბიშევი, 13 აგვისტო, (**საკადესის სპეც. კორ.**). გუშინ დილით ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან მ. ტ. ეფრემოვთან და სხვებთან ერთად იყვნენ ქალაქ ნოვოკუიბიშევსკში, რომელიც ომისშემდგომ წლებში აშენდა. აქ სტუმრებმა გაიცნეს ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და სინთეზური სპირტის ქარხნის პირველი რიგი.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორმა სტუმრებს დაწვრილებით გააცნო ნავთობის გადამუშავების სქემა, ილაპარაკა საწარმოს მუშაობაზე. ქარხანამ ჩვენს ქვეყანაში პირველმა აითვისა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონში მოპოვებული ნავთობიდან ზეთების წარმოება. საწარმო იძლევა აგრეთვე ნედლეულს სინთეზური სპირტის წარმოებისათვის.

სინთეზური სპირტის ქარხანაში ნ. ს. ხრუშჩოვმა მისცა კითხვა, თუ როგორია გაზისაგან მიღებული ხელოვნური სპირტის ღირებულება, რა ეკონომიას იძლევა იგი მარცვლისაგან სპირტის წარმოებასთან შედარებით.

— ჩვენი საწარმოს გამომუშავებული სპირტი, — ამბობს ქარხნის დირექტორი ა. ს. ფედოტოვი, — ერთისამად იაფია, ვიდრე ასეთივე ხარისხის, მაგრამ მარცვლის ან კარტოფილისაგან დამზადებული სპირტი. რაც შეეხება მარცვლის ეკონომიას, წელს ჩვენ ქვეყანას მივცემთ ისეთი რაოდენობის სპირტს, რომლის დამზადებისათვის საჭირო იქნებოდა რამდენიმე მილიონი ფუთი მარცვლეულის დახარჯვა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს სწარმოს საამქროები. ამ ქარხნის მუშაკთა მესამედს საინჟინრო-ტექნიკური განათლება აქვს. ბევრი მათგანი წინათ საწარმოს მშენებელი იყო, ამავე დროს სწავლობდა და სპეციალისტი ქიმიკოსი გახდა.

ქარხნებში ყოფნის შემდეგ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ქალაქი ნოვოკუიბიშევსკი, იყვნენ სამშენებლო მოედნებზე.

• • •

ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, დ. ს. პოლიანსკი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ფ. ზასიადკო, ი. ი. კუზმინი და სხვები გუშინ თვითმფრინავით „ტუ-104" კუიბიშევიდან გაემგზავრნენ.

იმავე დღეს, 12 აგვისტოს, ისინი მოსკოვს დაბრუნდნენ.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 10 აგვისტოსათვის

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1958 წლის 10 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 80,6 პროცენტით. მიმდინარე წლის 10 აგვისტოსათვის ხარისხობრივი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 20.247 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს სხვა რაიონებში გეგმა შესრულებულია პროცენტობით:

აფხაზეთის ასსრ	85,2
აჭარის ასსრ	78,9
მახარაძის რაიონი	80,5
ჩოხატაურის „	76,2
ლანჩხუთის „	73,1
სამტრედიის „	78,0
წულუკიძის „	78,0
ქუთაისის „	91,4
წყალტუბოს „	97,8
ტყიბულის „	106,0
ცხაკაიას „	70,7
აბაშის „	71,6
გეგეჭკორის „	74,5
ზუგდიდის „	81,4
წალენჯიხის „	82,1
ჩხოროწყუს „	79,6
ხობის „	80,8
თერჯოლის „	110,0
ზესტაფონის „	60,0
ჭიათურის „	137,5
ვანის „	105,0

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

მივცეთ ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი!

აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვა საქართველოს სსრ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა 1958 წლის 10 აგვისტოსათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 17.024,3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 4.266 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წლის ამავე პერიოდში.

კრეფის გეგმა სეზონის პირველ სამ თვეში (მაისი, ივნისი, ივლისი) შესრულებულია 18,4 პროცენტის გადამეტებით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ" სოფელ სოფხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობამ, გალის რაიონის სოფელ თაგილონის კოლმეურნეობა „სალბინომ" და კოლმეურნეობამ „კომუნიზმისაკენ", გულრიფშის რაიონის სოფელ ვლადიმიროვკის ლენინის სახელობის, სოფელ განაბლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა და სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალმა სოფელმა", სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ და ზოგიერთმა სხვა მეურნეობამ ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა და შეუსუსტებელი ტემპებით განაგრძობენ მოსავლის აღებას გეგმის გადამეტებით.

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ინეა ბულისკერიას და აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მატრონა ლეონტიევას თაოსნობით აფხაზეთში ჩაის მკრეფავებს შორის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნახევარი მექანარი ნაკვეთიდან 7 ტონა ჩაის ფოთლის მიღებისათვის.

ამ შეჯიბრების შედეგად ასობით მკრეფავმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწია. ი. ბულისკერიამ და მ. ლეონტიევამ უკვე მოკრიფეს ექვს-ექვსი ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეებმა გულკა შოუამ, ციალა კოლბაიამ, ზავეტ მელიტონიანმა და ბევრმა სხვამ ოთხ-ოთხი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი დახმარების მეოხებით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში შექმნილია მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მათ შორის ჩაის მეურნეობაც.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დასაბული ღონისძიებანი უზრუნველყოფენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას და სახავენ დიდ პერსპექტივებს ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ჩაის კულტურა კოლმეურნე გლეხობის კულტურული და შეძლებული ცხოვრების საფუძველი გახდა. იღებენ რა უხვ მოსავალს, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ რა ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმიან დავალებებს, კოლმეურნეობები ზრდიან თავიანთ შემოსავალს და აუმჯობესებენ კოლმეურნეთა კეთილდღეობას.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები ძალებსა და ენერგიას არ დაიშურებენ იმ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახეს ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. ამუამად მეჩაიეები იბრძვიან ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მეჩაიეობის კოლმეურნეობათა კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავბაროთ 3.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი აქედან გალის რაიონის კოლმეურნეობები კისრულობენ გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.400 ტონა, ოჩამჩირის რაიონისა — 900 ტონა, გუდაუთის რაიონისა — 400 ტონა და გულრიფშის რაიონისა — 300 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XIX პარტყრილობის სახელობის და სოფელ დურიფშის სასოფლო-სამეურნეო არტელები ვალდებულებას კისრულობენ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 150 ტონა ჩაის ფოთოლი თვითეულმა. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ქოჩარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 120 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 100 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ, ვიდრე გათვალისწინებულია წლიური გეგმით.

აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები მტკიცედ იბრძოლებენ ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის შემდგომი გადიდებისათვის, ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ვკისრულობთ რა ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს სსრ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გავაბაროთ ჩვენი საყვარელი სამშობლო უხვი მოსავლით, მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი!

მიმართვა განხილული და მიღებულია აფხაზეთის ასსრ მეჩაიეობის არტელების კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კრებებზე

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო პ. მენდეს-ფრანსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 13 აგვისტოს მიიღო საფრანგეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე პიერ მენდეს-ფრანსი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მიმავალი მოსკოვში იმყოფება.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და პ. მენდეს-ფრანსს შორის ხანგრძლივი საუბარი გაიმართა, რომლის დროსაც შეეხნენ საკითხთა ფართო წრეს.

სოციალისტური შრომის გმირები

მთების გულში

ახლა ირაკლი ობოლაძე მე-9 სანგრევში მუშაობს როცა იგი თავისი საქმიანობის შესახებ მოგითხრობთ, არ შეიძლება თვალწინ არ წარმოგიდგეთ ელნათურებით გაჩახჩახებული თბილისი, საწარმოებში მოგუგუნე ჩარხები და მანქანები. ალბათ იმიტომ, რომ ქალაქებისაკენ, სამრეწველო საწარმოებისაკენ ლითონის ძარღვებით მიმავალ უხილავ ძალაში ამ ხმელ-ხმელი, ტანმორჩილი კაცის შრომის მადლიც არის ჩაქსოვილი. ირაკლი ობოლაძე დღენიადაგ ვაკაცურად ებრძვის მთებს. გულს უთხრის ამ გოლიათებს, რომ მდინარეებმა ახალი კალაპოტით იდინონ და, მძლავრ ჰიდროტურბინებთან დაჯახებულნი, ხალხის სამსახურში ჩადგნენ.

— ვიჩქაროთ, ბიჭებო, ცვლის დამთავრებამდე მეოთხე აფეთქებაც უნდა მოვასწროთ, თორემ პირობას ვერ შევასრულებთ. შეგრცხვებით, — ეუბნება სახელგანთქმული გვირაბგამყვანი ბრიგადის წევრებს.

— ალექსანდრე, შენ შპურებს გააკეთებ, გიორგი და ანასტასი გზის დაგებაზე იმუშავებენ, ხაჩიკ, შენ ნობეტონებში არ ჩამოგვრჩე, — იძლევა განკარგულებებს ბრიგადირი.

არ ჩამოგვრჩეო სიტყვამ მოიტანა, თორემ ირაკლი ობოლაძის კომპლექსურ ბრიგადაში არავინ არ არის ჩამორჩენილი. ბრიგადას დღეში 6 მეტრის სიგრძეზე გაჰყავს გვირაბი, გეგმით კი 4 მეტრია გათვალისწინებული. სახელოვან გვირაბგამყვანს, სოციალისტური შრომის გმირს ირაკლი ობოლაძეს მხარში უდგანან ცვლის ბრიგადირები გ. აფენდულოვი, ა. მაგდალინოვი, გამყვანები ა. სამადაშვილი, გ. სულაბერიძე, მებეტონე ხ. ბაღდასარიანი და კიდევ სხვა მრავალი, რომელთა შორის ზოგნი სკოლის მერხიდან მოვიდნენ აქ — მთების გულში.

— ყოჩაღი ბიჭები მყავს, — კმაყოფილებით ამბობს მომთხოვნი ბრიგადირი.

მაგრამ ასე რომ აჩქარებს, აგულიანებს ბრიგადის წევრებს, ამას თავისი საფუძველი აქვს. საქმე მოითხოვსო, — მოკლედ გვიპასუხა ირაკლი და შემდეგ უმატებს — ხრამის პირველ ჰიდროელექტროსადგურში ყოფილხართ? ჰოდა იქვეა ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურის სათავე-ნაგებობა. იქიდან პანტიანამდე ბარე 30 კილომეტრი იქნება და მდინარემ სულ გვირაბით უნდა იდინოს. ამას დაუმატეთ დახრილი მილსადენის გვირაბი!.. აი გვირაბის ეს უბანი, მართალია მობეტონებულია, მაგრამ დამთავრებული ხომ არ არის!.. ბეტონი უნდა დაიხვრიტოს, რომ ხსნარით მჭიდროდ ამოვავსოთ ბეტონის კედელსა და გამონანგრევს შორის დარჩენილი სიცარიელე. ახლა გვირაბის ბეტონის ფუძის დგება, ახლა მოპირკეთება... რამდენი საქმე იყრის თავს, ჯერ რა გვაქვს გაკეთებული!..

და ირაკლიც ეძებს სამუშაოთა დაჩქარების, ბეტონისა და დამხმარე მასალების მოშვირნეობის გზებს. ადრე გვირაბი მთელი კვეთით გაჰყავდათ. ფხვიერ გრუნტს რომ მიადგნენ, ჩამონგრევა გახშირდა, საქმე კუს ნაბიჯით მიდიოდა. გაჩოცდილმა ბრიგადირმა მალე მონახა გამოსავალი: ჩამონგრევა რომ თავიდან ავიცილოთ, გვირაბი ნახევარი კვეთით გავიყვანოთო. ასე მოიქცნენ და შედეგიც კარგი მიიღეს.

ი. ობოლაძე.

• • •

მშენებლები ირაკლი ობოლაძეს თავისი საქმის პროფესორს უწოდებენ. სიცოცხლის 30 წელიწადი მან მიწის ქვეშ გაატარა და ვინ უნდა იცოდეს მასზე უკეთესად მთების გულის საიდუმლო.

ხრესილელმა ბიჭმა ძალიან ადრე იგემა ცხოვრების ჭირვარამი. ობოლი ბავშვი ირაკლი ობოლაძე 14 წლისა იყო, როცა ტყიბულის შახტებში დაიწყო მუშაობა. 1929 წლიდან ირაკლი რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობდა გვირაბგამყვანად. აქედან იწყება მისი, როგორც სახელოვანი ჰიდროენერგომშენებლის, ცხოვრების წიგნი. აქ გათქვა პირველად სახელი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა. ი. ობოლაძის კომპლექსური ბრიგადა დღიურ დავალებებს სამმაგად ასრულებდა, ჩამორჩენილებს შველოდა.

რიონჰესიდან ხრამზე, ხრამიდან ბაქსანზე, ბაქსანიდან კვლავ ხრამზე — აი ირაკლი ობოლაძის შრომითი გზის მარშრუტი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში მან ათობით მოწინავე ჰიდროენერგომშენებელი აღუზარდა სამშობლოს. უხარია, რომ აღზრდილებმა ამაგი დაუფასეს, თავიც ისახელეს და აღზრდელიც ასახელეს. ერთ-ერთი მათგანია ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი ქრისტეფორე ჯეირანოვი, რომელიც ახლახან მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

— ჩვენ პირველ ხრამზე გავიცანით ერთმანეთი, როცა ქრისტეფორე ჩემს ბრიგადაში მოვიდა სამუშაოდ. მებეტონეობა შეგასწავლე, — იგონებს ირაკლი. — ისე კაცმა რომ თქვას, მაშინ გაცილებით ძნელი იყო მუშაობა. მთელი ადგილი უკაცრიელი და უდაბური იყო... არც საცხოვრებელი სახლები, არც ნანქანები, არც მექანიზმები წუწუნს ხმა არ მოვყვებოდით, მშენებლები ჩვენ ვიყავით და ვის უნდა აეშენებინა, თუ არა თვითონ ჩვენ. პირველად ტაშბაშის პატარა ჰიდროელექტროსადგური ავაგეთ, რადგან ელექტროენერგიის ბაზის უქონლად ფიქრიც წარმოუდგენელი იყო ისეთი რთული და მძლავრი ჰიდრონაგებობის მშენებლობაზე, როგორიც ხრამს პირველი ჰიდროელექტროსადგურია. როგორც ხედავთ, გავართვით თავი სიძნელეებს და ავაშენეთ, — ამთავრებს ბრიგადირი. ჩვენ უნდა დავძინოთ: ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის ჯგუფს 14 კაცის შემადგენლობით, მათ შორის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს ირაკლი ობოლაძეს სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ახლა ჰიდროენერგომშენებლებს მართლაც უკეთესი პირობები აქვთ შექმნილი. ხრამის პირველი ელექტროსადგური ელექტროენერგიით ამარაგებს ხრამის მეორე ელექტროსადგურის მშენებლობას, უფრო ადვილი და მაღალნაყოფიერი გახდა შრომა. პატარა ქალაქებს ჰგავს მოებშუა მომწყვდეული დასახლებული პუნქტები ბეღიანი და პანტიანი.

... თავდადებით შრომობენ მშენებლები, მთების გულში წინ მიიწევს გვირაბი.

სასიქადულო გვირაბგამყვანთა ბრიგადირთან ჩვენი საუბრის ადგილი მალე მიუწვდომელი გახდება ადამიანისათვის სასიარულოდ. მდინარე ხრამი იდინებს, აქ, და ახალი მძლავრი ჭისის ამუშავებით გაჯარებული მშრომელები გულითად მადლობას ეტყვიან მთებთან და მდინარეებთან მორკინალ მშენებლებს.

ა. ხუჰუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

კომუნისტი მექანიზატორები

კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის პარტიული ჯგუფის მუშაობის პრაქტიკიდან

ცხელა. ალოობაა...

მინდვრებისაკენ მივდივართ. მარცხნივ ხეხილის ბაღებია, მარჯვნივ — პურის ყანები. ნელი სიო აქანავებს ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს. შორს კომბაინები გუგუნებენ. გაყუჩებული მივყვებით ყანის პირს. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ოთარ ცერცვაძეც დადუმდა, მაგრამ ეტყობა სათქმელი ჯერ კიდევ არ შემოლევია, ისევ ჩვენკენ მოაბრუნა მზით დამწვარი სახე და განაგრძო:

— წლევანდელ გაზაფხულზე დიდი ამბები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. მანქანა-ტრაქტორთა საღგურების რეორგანიზაციამ მარტო ტექნიკა კი არ შესძინა კოლმეურნეობებს, ჩვენთან არტელში ახალი ადამიანებიც — მექანიზატორებიც მოვიდნენ. მათ შორის ბევრია კომუნისტი. ამან არა მარტო საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობა გაზარდა, არამედ მისი ხარისხიც ბევრად გაუმჯობესა. სატრაქტორო ბრიგადაში შეიქმნა პარტიული ჯგუფი, რაც სრულიად ახალი რამ არის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

გზაში ხორბლით დატვირთული ავტომანქანა წამოგვეწია.

— კალოზე რაიკომის ლექტორ-პროპაგანდისტი გელოდებათ, — გადმოძახეს მანქანიდან ო. ცერცვაძეს.

— აგიტსაუბარს თუ ესწრება, — ჩაილაპარაკა მან და წინ წასულ მანქანაზე გვანიშნა. — დღეს ეს მეხუთე მანქანა პური იგზავნება სახელმწიფოსათვის მისაყიდად.

კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის პარტჯგუფორგანიზატორი ზურაბ ცერცვაძე კომბაინის აგრეგატთან ვნახეთ. პარტბიუროს მდივანმა ბოდიში მოიხადა, კალოზე გადავალ, იქ დაგელოდებითო. ჩვენ კომბაინთან დავრჩით.

* * *

უბრალო, თავმდაბალი კაცია ზურაბი. ჯმუხი, სიტყვაძუნწი. ადრეც გვინახავს, მაგრამ ახლა შეცვლილი გვეჩვენა. მზეს სახე გაურუჯავს მისთვის, შრომასაც უფრო გაუკაქუნია. გულღიად მოგვესალმა. შეკითხვაზე მოგვიანებით გაგვცა პასუხი:

— აბა, რა უნდა გითხრათ. კაცს თუ გული ერჩის და მკლავიც მოსდევს, წინ ვერაფერი დაუდგება, — ხელში ჩვარი მოიქცია, მანქანის ზეთით გათხუპნული თითები შეიწმინდა და განაგრძო, — ტექნიკის ჩაბარების პირველ დღეებში ცოტა არ იყოს გაგვიძნელდა მუშაობა. მაშინ კიდევ არ იყო დადგენილი გამომუშავების ნორმები. პირველ ხანებში ზოგიერთ ტრაქტორისტს ეგონა, კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება უფრო დაბალი იქნება, ვიდრე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გვქონდაო. ჩანდა ყველას კარგად ვერ გაეგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, სადაც ლაპარაკია კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადასული მექანიზატორების შრომის ანაზღაურებაზე.

ამიტომ იყო, რომ ამ დადგენილებაზე პირადად ვესაუბრე ტრაქტორისტებს, შემდეგ კი შრომის ანაზღაურების საკითხის შესახებ პარტიული ჯგუფის კრებაზეც ვიმსჯელეთ. საკითხის განხილვა კომუნისტების აქტიური მონაწილეობით მოხდა. წამოყენებულ იქნა ბევრი საქმიანი წინადადება. კრებაზე გადაწყდა, რომ კოლმეურნეობაში გადმოსული მექანიზატორების შრომის ანაზღაურების საკითხი პარტბიუროში დაგვეყენებინა განსახილველად. ასეც გავაკეთეთ. პარტბიუროს მოთხოვნით კოლმეურნეობის გამგეობამ სათანადო ზომები მიიღო ამ საქმის მოსაგვარებლად.

— შრომის ანაზღაურების რა წესი მიიღეთ?

— სულ უბრალო. დავადგინეთ, რომ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება იმაზე დაბალი არ იყოს, რასაც ისინი მტს-ში იღებდნენ საგარანტიო მინიმუმის მიხედვით.

გამომუშავების ნორმებისა და მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების წესის დროულად შემოშავებამ საშუალება მოგვცა სატრაქტორო ბრიგადაში განგვემტკიცებინა შრომის ორგანიზაცია და აგვმაღლებინა შრომის ნაყოფიერება. ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენება ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია. ვაძლიერებთ კომუნისტთა აქტივობასა და პასუხისმგებლობას.

მაისში პარტიული ჯგუფის კრებაზე განვიხილეთ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და ალოობის საკითხი. მკაცრად გავაკრიტიკეთ კომბაინერი დიმიტრი მარანელი, ტრაქტორისტი დავით ცერცვაძე და სხვები, რომლებიც მზადებაში ჩამორჩებოდნენ. კრების გადაწყვეტილებით სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს გიორგი ცერცვაძეს და მე დაგვევალა დაგვეჩქარებინა მოსავლის აღებისთვის მზადების ტემპი, გაგვეძლიერებინა ტექნიკური კონტროლი.

ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად დაჩქარდა მოსავლის აღებისათვის მზადება. მოსავლის აღებას ეომზადებული შევხვდით. ახლა კომბაინები შეუფერხებლად მუშაობენ. ბრიგადის საერთო წარმატებაში განსაკუთრებით დიდი როლი მიუძღვის საგიტაციო მუშაობას. პარტიული ჯგუფი ზრუნავს იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრება მასობრივ ხასიათს ატარებდეს, აგიტაცია ბრიგადაში სისტემატური, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყოს.

* * *

პარტბიუროს მდივანი ოთარ ცერცვაძე და პარტიის გორის რაიკომის ლექტორ-პროპაგანდისტი მურმან ლომიძე კალოზე აგიტატორის საუბარს დასწრებოდნენ. ჩვენ რომ მივედით, აგიტსაუბარი ის იყო დაემთავრებინათ.

— რაზე იყო საუბარი? — ვკითხეთ პარტბიუროს მდივანს.

— დამზადების ახალ წესზე, ფასებსა და პირობებზე.

პარტბიუროს მდივანი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ საუბარში მემინდვრეობის ბრიგადირი დავით ნასყიდაშვილი ჩაერია.

— სიმართლე რომ ითქვას, სალაპარაკოს ასე უცებ ვერ ამოწურავს კაცი. პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობაში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ჩვენი კოლმეურნეობა განსაკუთრებით ღონიერი და წელმაგარი გახდა. სწორი იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. მის დროულობას ჩვენი მუშაობის ყოველდღიური შედეგიც ადასტურებს. თავისთავად ცხადია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემაც უნდა შეცვლილიყო. ახალი დასამზადებელი ფასები კი კოლმეურნეობისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც დიდად სასარგებლოა.

მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრია საველე აგიტპუნქტი, რომლის კარგად მოწყობისათვის დროულად უზრუნია საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას. შესვენებისას აგიტპუნქტში ბევრი კოლმეურნე და მექანიზატორი იყრის თავს. მორიგე აგიტატორისაგან აქ ისინი იღებენ საჭირო კონსულტაციას მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ზეღდუღეთლები განსაკუთრებით შუა და ახლო აღმოსავლეთში მომხდარი უკანასკნელი ამბებით არიან დაინტერესებულნი. ისინი გულისწყრომას გამოთქვამენ ლიბანისა და იორდანიის საშინაო საქმეებში ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების ჩარევის გამო.

კომუნისტმა ტრაქტორისტმა დავით ბატონისაშვილმა განაცხადა:

— საბჭოთა ადამიანი გულხელდაკრეფილი ვერ უყურებს ამერიკელ-ინგლისელთა აგრესიას ლიბანსა და იორდანიაში. ჩვენ ერთსულოვნად მოვითხოვთ: — ხელები შორს ლიბანისაგან! ხელები შორს ერაყისა და იორდანიისაგან!

კარგად მომზადებულ და საინტერესო საუბრებს მართავენ სოფლის სამკითხველოს გამგე ქსენია სამადალაშვილი. სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველი თენგიზ წკრიალაშვილი და სხვები. აგიტატორები სისტემატურად უშვებენ საველე გაზეთებს, აცნობენ კოლმეურნეებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

* * *

კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაზე „სტალინეც-6“ მარკის ოთხი კომბაინი მუშაობს. ოთხივე აგრეგატი კოლმეურნე მექანიზატორებით არის დაკომპლექტებული. აგრეგატების კოლექტივები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიული ჯგუფი დიდ ყურადღებას აქცევს შეჯიბრების მიმდინარეობას. ცნობილია, რომ სოციალისტური შეჯიბრება მოითხოვს ყოველდღიურ აღრიცხვას, ანგარიშიანობას. პარტიული ჯგუფის დავალებით კომბაინის აგრეგატების მუშაობის აღრიცხვას მეთვალყურეობს კომუნისტი ალექსი ლოლაშვილი. მას საქმე ისე აქვს დაყენებული, რომ ყოველ დილით კომბაინერებმა იციან, რამდენ ჰექტარზე აიღეს წინადღეს მოსავალი და რამდენი შრომადღე გამოიმუშავეს. პარტიული ჯგუფის კრებაზე ხშირად განიხილავენ საკითხს შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

...ამას წინათ ზურაბ რაზმაძის კომბაინს პირველადი წმენდის ცხავის ამძრავი კბილანა დაუზიანდა. სათადარიგო კი არ ჰქონდათ. ეს რაზმაძესთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა კომბაინერმა გიორგი მარანელმა გაიგო.

— გიგლა, — უთხრა თავის მეშტურვალეს მარანელმა, — ჩვენ ხომ გვაქვს მარაგში ასეთი კბილანა?

— როგორ არა გვაქვს!

— მაშ რაღას უყურებ. მოძებნე და გადაურბეინე ზურაბს. ახლავე წაუღე. ისედაც მოცდნენ მგონი.

ზურაბ რაზმაძემ მალე აამუშავა კომბაინი. ამ დღეს რომ მისი აგრეგატის კოლექტივმა დავალება გადამეტებით შეასრულა, ამაში მის „მეტოქეს“ — კომბაინერ გიორგი მარანელსაც მიუძღოდა წილი.

კომუნისტი კომბაინერი გიორგი მარანელი და ზურაბ ცერცვაძე ყველაზე მოწინავენი არიან. მათი კომბაინების აგრეგატების კოლექტივები ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. გიორგი მარანელმა მოსავალი უკვე აიღო 140 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი მარცვლეული გალეწა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა.

პარტიული ჯგუფი ამ მოწინავე მექანიზატორთა მუშაობის გამოცდილებას ფართოდ აცნობს სხვა კომბაინერებს.

* * *

„პარტიული ჯგუფის მუშაობის აღრიცხვის ჟურნალში“ პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი ზურაბ ცერცვაძე სისტემატურად აკეთებს ჩანაწერებს გაწეული მუშაობის შედეგებზე.

აი ზოგიერთი ჩანაწერი ამ ჟურნალიდან:

„შესრულებულია პარტიული ჯგუფის წინადადება მიმბმელების შემცირების შესახებ. რვიდან მიმბმელთა რაოდენობა შემცირდა ხუთამდე. მიმბმელები რუბენ გოგიძე, ივანე ბერიანიძე და ვალტერ ალაძე, რომლებიც შემცირებაში მოჰყვნენ, კომბაინების აგრეგატებზე მეშტურვალეებად მუშაობენ“.

„22 ივლისისათვის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აღებული იყო 540 ჰექტარზე ნაცვლად შესაბამის პერიოდთან შედარებით შარშან მომკილი 410 ჰექტარისა. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 160 ტონა პური გასულ წელს ამავე პერიოდში მიყიდული 65 ტონის მაგივრად“.

„კოლმეურნეობაში ტრაქტორების ყოველდღიური დატვირთვა მტს-ის პირობებში მუშაობასთან შედარებით გაზრდილია 5-10 პროცენტით“...

* * *

საღამოა. სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებს სახელდახელოდ მოწყობილ კარავში მოუყრიათ თავი. აქვეა პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი ზურაბ ცერცვაძე. ისინი მთელი დღის მუშაობის შედეგებს აჯამებენ. ხვალინდელი მუშაობის გეგმებს აწყობენ.

ხვალაც ასეთივე ბობოქარი დღე გათენდება და რამდენი კარგის გაკეთება იქნება საჭირო კოლმეურნეობისათვის. გასაკეთებელი კი ჯერ ბევრი აქვთ ზეღდუღეთელ კომუნისტ მექანიზატორებს.

წინ არის საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოები. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნეობის მექანიზატორები ამ საქმეშიც ისახელებენ თავს. ამის საწინდარია სატრაქტორო ბრიგადის პარტიული ჯგუფის ნაყოფიერი, უნარიანი მუშაობა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

რკინიგზელები ახალ გინებში

ხაშური. (საკ. კორ.). რკინიგზელის ტრადიციული დღესასწაულის დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს ხაშურელმა რკინიგზელებმა, მათ საექსპლოატაციოდ გადაეცათ რვაბინიანი ახალი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ყაზბეგის ქუჩაზე აიგო.

ახალ კეთილმოწყობილ ბინებში შესახლდნენ მოწინავე რკინიგზელები, სადგურის მორიგე ვ. ვეფხვაძე, კავშირგაბმულობის დისტანციის მონტიორი გ. ლომიძე, სავაგონო დეპოს უფროსი ინჟინერი ტ. წიწილასანი, სალიანდაგო დისტანციის მუშა დ. ურიადმყოფელი, მატარებლის მთავარი გამყოლი მ. ორჯონიკიძე და სხვები.

2.000.000 ტონა სილოსისათვის 1958 წელს!

საზოგადოებრივ მეცხოველეობას შევუქმნათ მჯიცე საკვები ბაზა!

★ ★

შეჯიბრების ინიციატორებთან



ხასილოსე სიმინდის კომბაინით აღება საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის კოლმეურნეობაში. სურათზე: მწვანე მასის ხარისხს ამოწმებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ასრათაშვილი (მარცხნივ) და მექანიზატორი ვ. ფხალაძე.

ფოტო ვ. გოზალიშვილისა.

10 აგვისტოს პარტიის საგარეჯოს რაიკომმა სოფელ მანავის კოლმეურნეობაში მოაწყო რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ზოოტექნიკოსებისა და მეცხოველეობის ფერმათა გამგეების თათბირი. აქ მათ მიწისზედა დასილოსებაზე ესაუბრა რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. ნადაშვილი.

— ჩვენს რაიონში — თქვა მან, — ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არც კი სჯეროდა მიწისზედა დასილოსების უპირატესობა. ამიტომ მოვაწყეთ ეს თათბირი, რათა ისინი პრაქტიკულად გაეცნონ ამ მეთოდით დასილოსებას, დარწმუნდნენ, რომ ამ წესით ჩადებული სილოსი უფრო იაფი ჯდება და ყუათიანიც არის.

მანავის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ასრათაშვილი) ამ მეთოდით დასილოსების საქმეში წარმატებას მიაღწიეს. აქ წინათ სილოსით ზამთარშიც ვერ კვებავდნენ პირუტყვს. ახლა კი სილოსს მარტო ზამთარში კი არა, პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის დროს ზაფხულში გამოსაკვებადაც ხმარობენ.

ზაფხულის პერიოდში ძროხების სილოსით კვებამ საგრძნობლად გაზარდა წველადობა. 7 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.100 ლიტრი რძე. უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა მოწინავე მწველავმა გ. გოგოლაურმა, რომელმაც თვითეული ძროხაზე 2.400 ლიტრი რძე მიიღო. მას არც მწველავები ი. ტერტერაშვილი და ა. ფეიქრიშვილი ჩამორჩებიან.

მანაველებმა სილოსის ჩადების წლიურ გეგმას უკვე 700 ტონით გადააჭარბეს და ახლა თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი პროგრესული წესით — მიწისზედა დასილოსებით დაამზადონ სამი ათასი ტონა სიმინდის მწვანე მასა, გეგმის ზევით ჩადონ 4.200 ტონა სილოსი, რაც თვითეულ ძროხაზე 21 ტონას შეადგენს.

სილოსის წარმოების გადიდების საქმეში თავი ისახელა სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. დემეტრაძე, პარტბიუროს მდივანი დ. გენგაშვილი). სართიჭალელებმა წელს იკისრეს თვითეულ საფურაქე ძროხაზე დაამზადონ 12,5 ტონა სიმინდის სილოსი, ხოლო სულ 4 ათასი ტონა.

სართიჭალელები ჰექტარზე 405 ცენტნერ სიმინდის მწვანე მასას იღებენ, ხოლო ნაწვერალზე ნათესი 650 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 250 ცენტნერი მასის მიღებას ვარაუდობენ. მათ უკვე ჩადეს 3.500 ტონა სილოსი, გადაწყვეტილი აქვთ გეგმის გადამეტებით დაამზადონ 3.000 ტონა სილოსი.

წვნიანი საკვების წარმოების გადიდებით სართიჭალელებმა 7 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.406 კილოგრამი რძე მიიღეს, რისთვისაც რაიონის გარდამავალი დროშა მოიპოვეს.

ასეთი კოლმეურნეობები საგარეჯოს რაიონში თითზე ჩამოსათვლელი როდია. სოფელ გიორგწმინდის კოლმეურნეობა „განთიადში“ 7 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე 1.138 ლიტრი რძე მიიღეს. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ ხაშმის სტალინის სახელობის, ნინოწმინდის და კრასნოგორსკის კოლმეურნეობებს.

სამწუხაროდ, საგარეჯოს რაიონში ისეთი კოლმეურნეობებიც არის, რომლებმაც სილოსის დამზადების საქმეში უპასუხისმგებლობის გამოჩენით და პირუტყვის კუდი მოვლით ძროხის წველადობის შემცირება დაუშვეს. ამ მიზეზებით პატარძეულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. თათრიშვილი) 1 აგვისტოსათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 109 ლიტრით, ხოლო კოჭბაანის კოლმეურნეობაში 67 ლიტრით შემცირდა წველადობა.

საინტერესოა, რით ფიქრობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას მანავის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები, რომლებსაც დღემდე არ დაუწყიათ სილოსის დამზადება?

საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც კურსკელთა მაგალითისამებრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიმართეს მოწოდებით — შეუქმნან საზოგადოებრივ მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი დიდი საქმის ინიციატორები არიან.

ვ. ზალიშვილი,
ჭ. ხვადაძე.

სურათზე: მიწისზედა დასილოსება სოფელ მანავის კოლმეურნეობაში.

თვითეულ ძროხაზე — 13 ტონა სილოსი

საუბარი პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ნ. ჯავახიძესთან

— როგორ მიმდინარეობს თქვენთან საკვების დასილოსება? — ამ კითხვით მიმართა გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტმა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ნ. ჯავახიძეს.

— წელს გეგმით 45 ათასი ტონა სილოსი უნდა დავამზადოთ, — განაცხადა ამხ. ჯავახიძემ. — მაგრამ, ავწონდაგწონეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ დავასილოსოთ სულ ცოტა 65 ათასი ტონა საკვები. უკვე ჩავდეთ 18.257 ტონა სილოსი. ამ საქმეში დაწინაურდნენ ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ზემო მაჩხაანისა და სხვა კოლმეურნეობები. სილოსის ჩადების ტემპი დღითიდღე ძლიერდება სიმინდის მწვანე მასის მასობრივად შემოსვლასთან დაკავშირებით. სილოსის დამზადებაზე მუშაობს 26 სპეციალური კომბაინი, 11 სილოსსაჭრელი მანქანა, 250 ავტომანქანა. უკვე აღებულია 2.071 ჰექტარი სახილოსე სიმინდი.

როგორც ცნობილია, წელს რაიონში ძლიერი გვალვების შედეგად თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და ბალახების ცუდი მოსავალი იყო. ამ რთული მდგომარეობიდან გვიხსნა სიმინდმა, რომელიც ერთდროულად წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეული რესურსების შევსებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების ამოცანებს.

შარშან კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე 9 ტონა სილოსი ჩადეს. წელს ეს ციფრი 13-ს მიაღწევს. ვიყენებთ უხეში საკვების რესურსების გადიდების რეზერვებსაც. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს წელს ახალი მიღწევები მოვიპოვოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. პირველი შედეგები კარგია: მიმდინარე წლის 7 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.008 კილოგრამი რძე, ანუ 100 კილოგრამით მეტი 1957 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული წითელწყაროელი მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წელს ახალი მიღწევები მოიპოვონ მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში.

გარდაბანში ურიგდებიან ჩამორჩენას

ორი თვის წინათ ჩვენმა პრესამ მკაცრად გააკრიტიკა გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობები მეცხოველეობის პროდუქტიულობის საქმეში ჩამორჩენისა და პირუტყვის საკვების დამზადებაში უდარდელობისათვის. აღინიშნა, რომ კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი ხელიდან უშვებს თივის აღების ხელსაყრელ ვადებს, აჭიანურებს სილოსის დამზადებას, მრავალწლიანი ბალახების თესვას და ნათესების მოვლა-დამუშავებას.

ამ მკაცრი გაფრთხილებიდან ბევრმა კოლმეურნეობამ სათანადო დასკვნები გააკეთა, მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების საქმე თითქოს წინ დაიძრა. შარშანდელთან შედარებით 1 აგვისტოსათვის საშუალოდ ერთი საფურაქე ძროხის წველადობა 174 ლიტრით გაიზარდა.

მაგრამ ეს ერთგვარი წარმატება საქმეს მაინც არ შველის. ივლისის შუა რიცხვებში პარტიის გარდაბნის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ ბირლიკის ნიზამის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობისათვის მყარი საკვები ბაზის შექმნის საკითხი და მკაცრი სასჯელი დაადო არტელის ხელმძღვანელებს საკვების დამზადების ვადების შეუწყნარებელი გაჭიანურებისათვის. ახლა აქ სილოსის დამზადების ვალდებულება თითქმის 35 პროცენტით არის შესრულებული — 1.000 ტონიდან ჩადებულია 320 ტონა სიმინდის მწვანე მასა, რომელიც რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში აიღეს. თივა გეგმით 2.200 ცენტნერზე მეტი უნდა დაამზადონ, გათიბული და უკვე დაზვინული აქვთ 940 ცენტნერი. დანარჩენი, როგორც აქ თქვეს, გათიბულია, მაგრამ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემოსავალში გატარებული. აი ერთი კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითი, რომელსაც რაიონში რატომღაც დამაკმაყოფილებლად თვლიან.

წლევანდელი პირობები გარდაბნელი მეცხოველეებისათვის ცუდი არ არის, თივის მოსავალი კარგია, სიმინდის, მრავალწლიანი ბალახების ნათესები, ბუნებრივი სათიბები დიდძალი საკვების დამზადების შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში მუშაობის ტემპი კვლავ შეუფერებლად ჭიანურდება. არც ერთ კოლმეურნეობას მისამდიოთაც არა აქვს შესრულებული სილოსის დამზადების დავალება, ხოლო მთლიანად რაიონში 30 ათასი ტონიდან 10 აგვისტოსათვის ჩადებული იყო მხოლოდ 3.300-მდე ტონა სასილოსე მასა, თივა დამზადდა 2.300 ტონაზე ცოტა მეტი, ჩალა — 2.000 ტონა. შარშან ამ დროისათვის კი დაზვინული ჰქონდათ 3.411 ტონა თივა, 6.614 ტონა ჩალა.

მუშაობის ასეთ პირობებში ძნელია გარდაბნელმა მეცხოველეებმა შეასრულონ ვალდებულება — თვითეულ საფურაქე ძროხაზე დაამზადონ 10 ტონა მაღალხარისხოვანი სილოსი. ჯერჯერობით 2 ტონაც არ არის ჩადებული და ისიც თითქმის მთლიანად ხმარდება ბაგურ კვებაზე გადაყვანილ ძროხებს.

საკვების დამზადების ამ ცხარე დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს მექანიზმების, საკოლმეურნეო ტექნიკის მაქსიმალურად დატვირთვას. ისეთ მძლავრ კოლმეურნეობაში, როგორიც გარდაბნის „პრავდის“ სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელია, სილოსის საჭრელ მანქანა სასილოსე მასის უქონლობის გამო მთელი დღეობით მოცდენილი დგას. სოფელ თაბაქენდის კოლმეურნეობა „სოციალიზმში“ ამას წინათ სასილოსე მასა ასაღები გაუმართავი კომბაინი მოიყვანეს და ნაწილის დაზიანების გამო ოდენ დიდხანს უქმად იდგა. როგორც ჩანს, რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ო�დ ურიგდებიან ასეთ ნაკლოვანებებს.

ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი გადამწყვეტია საკვების დამზადებაში. გარდაბნელ კოლმეურნეებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მალე დაძლიონ ჩამორჩენა, მეტი და მაღალხარისხოვანი საკვები დაუმზადონ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ა. დვალიშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

დაიწყეს სიმინდის მწვანე მასის დასილოსება

რძის წარმოების გადიდებაში ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეცხოველეებს გურჯაანის რაიონში ბადალი არა ჰყავთ. აქაურმა მწველავებმა განვლილ შვიდ თვეში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე 1.600 ლიტრამდე რძე მიიღეს. ამას უპირველეს ყოვლისა მიაღწიეს ძროხების კვების გაუმჯობესებით.

პროდუქტიულობის ამაღლებაზე კანსაკუთრებით კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სიმინდის სილოსმა. ამიტომ ამ ძვირფასს წვნიან საკვებს წელსაც უხვად დაამზადებენ. გადაწყვეტილი აქვთ თვითეული ძროხისათვის ჩადონ 12 ტონა სილოსი. საამისოდ აღრევე იზრუნეს. გაზაფხულზე დათესეს 40 ჰექტარი სიმინდი. ნათესს ხელი არ დააკლეს — დროულად გათოხნეს, მორწყეს. ახლა სიმინდის ნათესები კარგი სანახავია, მწვანე მასისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროს ბარაქიანი მოსავალია მოსალოდნელი. მწვანე მასის დამატებითი მოსავლის მიღების მიზნით სანაწვერალო სიმინდი 43 ჰექტარზე დათესეს. სიმინდუშო მოვლის შედეგად სიმინდმა კარგად იხარა.

ამ დღეებში კოლმეურნეობაში დაიწყო მწვანე მასის დასილოსება. ა. ონოფრიშვილის ბრიგადის წევრებმა სილოსის ჩადების დაწყების პირველ დღეს 50 ტონა მწვანე მასა დაასილოსეს.

სილოსის ჩადება გრძელდება.

ა. არღუნაშვილი.
მრავალტირაჟიან გაზეთ „გამარჯვების“ რედკოლეგიის წევრი.

სამხრეთ ოსეთის მეავეჯეებთან

სტალინირი. (საკ. კორ.). ...ე-ტყის დამმუშავებ ...ლი კომბინატი ერთ-ერ...ი მსხვილი საწარმოა ...ტალინირში. აქ მზადდ...ა საოჯახო ავეჯი — ტან...საცმლისა და წიგნის კა...რადები, ხაწერი და სახა...ლო მაგიდები, დივნე...ი, აგრეთვე სბავშვო ...ავეჯი. კომბინატში მუ...შაობს პარკეტის საამქ...რო, რომელიც მაღალი ...ხარისხის პარკეტს უშ...ვებს.

...უკანასკნელ წლებში სა...გრძნობლად გაუმჯობეს...და სტალინირში გამო...შვებული ავეჯის ხარის...ი. მან მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურა ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ლამაზი ფორმის წიგნის კარადებზე.

სტალინირელი მეავეჯეები წელს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. ხე-ტყის დამმუშავებელმა კომბინატმა საწარმოში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციის საფუძველზე მიაღწია საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ავეჯის დამზადების შვიდ თვის გეგმა 106,6 პროცენტით შესრულდა, პარკეტის გამოშვებისა — 111,5 პროცენტით.

კომბინატში აღიზარდნენ გამოცდილი მეავეჯეები ი. კახნიაშვილი, მ. მეშვილდიშვილი, ნ. გობოზოვი, რომლებიც დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და სისტემატურად აუმჯობესებენ ავეჯის ხარისხს.

საწარმოს ახალგაზრდებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა წყნეთში გახსნა პიონერთა ბანაკი, რომელიც წარმოადგენს ბავშვთა გაჯანსაღების კერათა მთელ კომპლექსს. აქ აშენებულია ორსართულიანი კაპიტალური შენობა, სასადილო, კლუბი და სხვა დამხმარე შენობები. დამსვენებელ ბავშვთა განკარგულებაშია მუსიკალური ინსტრუმენტები, ტელევიზორი, რადიომიმღები, სპორტული ინვენტარი, სამკითხველო, ფოტოლაბორატორია, მოწყობილია სპორტული მოედნები, პიონერები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა წრეების მუშაობაში. ისინი ხშირად აწყობენ ექსკურსიებს ახლომდებარე ლამაზი ადგილებისა და მეზობელი პიონერთა ბანაკების დასათვალიერებლად. სურათზე: პიონერთა ბანაკის საერთო ხედი.

ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

იტალიელი და ფრანგი ტურისტები გათუმში

გათუმი. (საკ. კორ.) 10 აგვისტოს დილით ბათუმის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა იტალიის სამგზავრო ხომალდმა „სიდნეიმ“, რომელმაც აქ მოიყვანა 620 უცხოელი ტურისტი იტალიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან. ტურისტთა შორის იყვნენ მრეწველები, ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, ვაჭრები, ბევრი ახალგაზრდა.



მათ იმოგზაურეს შავი ზღვის საბჭოთა სანაპიროზე, ინახულეს ქალაქები: ოდესა, ბათუმი და სხვ. ისინი განცვიფრებაში მოვიდნენ შავი ზღვის საბჭოთა სანაპიროს ლაღი ბუნებით, ქალაქების სისუფთავითა და სილამაზით, საბჭოთა ადამიანების დიდი სტუმართმოყვარეობით.

ტურისტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკი, ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკი, ბოტანიკური ბაღი და ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

უცხოელი ტურისტებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა და აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა.

სტუმრები მოხიბლული იყვნენ ქართველი ხალხის ხელოვნების — ცეკვებისა და სიმღერების იმ ნიმუშებით, რომლებიც ოსტატობით შეასრულეს მსახიობებმა და ანსამბლმა.

იმავე დღეს საღამოს უცხოელი ტურისტები თბომავალ „სიდნეით“ სამშობლოში გაემგზავრნენ.

* * *

სურათებზე: ზევით — იტალიური თბომავალი „სიდნეი“ ბათუმის ნავსადგურში. ქვევით — უცხოელი ტურისტები ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ქართული აბრეშუმის ქსოვილები საუკეთესო უნდა იყოს

★

მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის სხდომაზე

★

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შედგა მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა იმ საწარმოთა წარმომადგენლები, რომლებიც კოოპერირებული არიან თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკასთან ან მომსახურებას უწევენ მას ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდებით.

სხდომაზე თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ნ. ჟანიამ თქვა, რომ აბრეშუმის მქსოველებმა შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა. განვლილი ექვსი თვის დავალებები ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შესრულეს და გეგმის გადამეტებით 13 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს. ფაბრიკა წინა წლებში ჩამორჩებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ახლა კი განვლილ 6 თვეში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების დავალება გადაჭარბებულია 3,6 პროცენტით.

მაგრამ ამასთან აბრეშუმის მქსოველთა კოლექტივს, ისევე როგორც ყველა იმ საწარმოთა კოლექტივებს, რომლებიც მათ ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს აწვდიან (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკა, თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა და სხვ.) აქვთ მრავალი ჯერ გამოუყენებელი შესაძლებლობა, აქვთ იმის საშუალება, რომ კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესონ თავიანთი პროდუქციის ხარისხი, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს შეუწყობს მქსოველებს იმაში, რომ მოქსოვონ და გამოუშვან მაღალი კლასის, საუკეთესო ხარისხის ქსოვილები.

ქუთაისის აბრეშუმკომბინატში მოქსოვილი ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოყენა, მოჩითვა, მოსახმარად გამოშვება თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ხდება. ამიტომ, თუ ქუთაისელმა ფეიქრებმა თბილისელებს მაღალხარისხოვანი ხამი ქსოვილები არ მიაწოდეს, ეს მათს მუშაობას დიდად შეაფერხებს. მაგრამ ხამი ქსოვილი რომ კარგად მოიქსოვოს, საჭიროა მაღალხარისხოვანი საქსელე და მისაქსელი ძაფი. ძაფის ხარისხის უზრუნველყოფა თავის მხრივ დამოკიდებულია აბრეშუმის ძაფსაღები და ძაფსაგრეხი საწარმოების კოლექტივთა გამართულ მუშაობაზე.

მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს უფროსმა ე. სეფიაშვილმა, ქვეოსტატმა დ. ალიბეგაშვილმა, წუნმდებელმა-კონტროლიორებმა მ. გელაშვილმა და ჟ. კორძაძემ, მქსოველმა მ. ფსუტურმა ილაპარაკეს იმ კონკრეტული მიზეზების შესახებ, რომლებიც იწვევს წუნს. ერთ-ერთი ასეთი მიზეზია მოძველებული მანქანა-დანადგარები, ახალი, ნაზი და მაღალი კლასის ქსოვილების გამოშვებისათვის ამ მანქანების შეუფერებლობა. ამას ერთვის ისიც, რომ აბრეშუმის ძაფი ხშირად შეუძახვია. ეს იმას მოწმობს, რომ აბრეშუმის ძაფსაგრეხ ფაბრიკებში ვხვდებით ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევას, დაუკვირვებლად მუშაობას.

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ვ. სორდიამ, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივის წარმომადგენელმა ე. ბერიშვილმა, წულუკიძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის წარმომადგენელმა გ. მონიავამ, თელავის ძაფსაღები ფაბრიკის წარმომადგენელმა მ. ეუეუნაშვილმა აღნიშნეს, თუ რა აფერხებს მათი კოლექტივების მუშაობას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და განმარტეს, რა ღონისძიებათა განხორციელება მიაჩნიათ საჭიროდ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

— რადაც უნდა დაგვიჯდეს, მივაღწევთ იმას, რომ ქართული აბრეშუმის ქსოვილები აღიარებულ იქნას საუკეთესოდ. ამ ლოზუნგით დამთავრდა აბრეშუმის მქსოველთა და მათი დამხმარე საწარმოების წარმომადგენელთა მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირის სხდომა.

„მოღაპარაკე“ ფოტოსურათები და „სამურაბე“ თვალები

სიღნაღი... ბულვარი...

„ტირი“... მიზანში სროლა... მაგრამ საინტერესო ის არის, ვინ უფრო ახვედრებს მიზანში — აქ შეგროვილი ახალგაზრდები თუ „ტირში“ მოფუსფუსე გრიგოლ ისაევი. რაღა თქმა უნდა, ისაევი.

ვინა თქვა, ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო. ისაევი ამას სულ იოლად ახერხებს. ანდა რატომ უნდა გაუჭირდეს, ის ხომ, ასე ვთქვათ, ძველი ილუზიონისტია.

„ტირდანაც“ ხეირი აქვს და იქვე სხვა საქმესაც იოლად აკეთებს.

— გრიშა, „თინას ჰყავდა მამალი“ გაქვს?

— გრიშა, „თამადა“ მომეცი.

— გრიშა, „რაც თვალს მოეფარე“ გექნება.

— თვალს რათ მოეფარები, გუნაცვალე, — ხუმრობს ისაევი, — ვინ მიშლის, აჰა, ინებეთ, რომელიც გნებავთ, აარჩიეთ.

მართლაც ვინ უშლის გ. ისაევს ყვირაში ერთხელ თბილისში ჩამოისეირნოს, ძმაკაცები მოინახულოს, მათგან „დეფიციტური“ ფირფიტები (როგორც თვითონ ამბობს) შეიძინოს და მერე ორმაგ ფასად გაყიდოს. არავინ, სულს იფიცავს ისაევი, არავინ არ უშლის, არც სიღნაღის რაიმიღიცია და ასე, გასინჯეთ, არც რაიონის ხელმძღვანელობას მიუქცევია ასეთი „ზვირალმანისათვის“ ყურადღება.

სიღნაღის ბულვარზე კი ამ „დეფიციტური“ ფირფიტებიდან იფრქვევა „მარგალიტები“:

ქორწილი. შეასრულებს რომას დასტა, ტაში დაკრა, გუნაცვალე! ბალამ ჯან...

მოვიდნენ... მოვიდნენ!

აბა ჩქარა ტაში, ტაში! პატარძალო, გუნაცვალე...

ტაშს უკრავენ სიღნაღელები, „ერთობიან, ხოლო გ. ისაევს მარცხენა ხელისგული ექავება და ეშმაკურად ამბობს:

— ვა, ფული მოდის, ია! — და მართლაც ფული მოსდის ისაევს. ბულვარზე, „ტირიდან“ კი ვერავ ისმის ვიღაც რომას სიმღერის ხმა „სულ არ მინდა ამ ქვეყნად მოვიდე“...

გ. ისაევის მიერ თბილისიდან ჩატანილ გრამოფონის ფირფიტებს სიღნაღის რაიონის სოფლებშიც შეხვდებით. აი ერთი მათგანი:

— „დედი“, — ასრულებს რომა, — ისმის რადიოლადან.

„შენი თმების ჭაღარამ,
ჩემი გული დადალა,
საყვარელო ჩემო დედი;
დედი! დედედი!
სულ მუდამ ქამს მეყვარებიი!“

გულსალვად ისე, როგორც საფლავზე. მოთქვამს რომა. ატირებს ზოგიერთ მსმენელს, ხოლო ისაევს და ამ ფირფიტების დამამზადებლებს ახითხითებს, მხიარულ გუნებაზე აყენებს.

იმავე რომას თავისებურად გადაუკეთებია შოფრების სიმღერა კინოფილმიდან „ჩრდილი გზაზე“. გადაკეთებას არ დასჯერებია და ბოლოს თავისი სიტყვებიც დაუმატებია:

„მოკიცინინე, დედა არ გაგიწყრება,
ეგ სიკეთე მე არ დამავიწყდება,

დაგიკოცნე სამურაბე თვალები!“

კი მაგრამ ვინ არიან, ამ ფირფიტებს რომ ამზადებენ? — იკითხავს მკითხველი.

გიპასუხებთ. ამ ფირფიტებს ჩვენს დედაქალაქ თბილისში, მასწავლებლის სახლში, არტელ „საქფოტოს“ 25-ე ატელიეში და სხვაგან ამზადებენ.

ამზადებენ და რაზე? რენტგენის ფოტოფირებზე. ეს მაშინ, როცა საავადმყოფოებში „ძვირადსაშოვარია“ ფოტოფირი.

თბილისის მასწავლებლის სახლში შესასელელთანვე არის წარწერა „ხმის ჩამწერი ლაბორატორია“. აქ ალ. მატინიანი მაგნიტოფონის საშუალებით იწერს მედოლეები ვიღაც რომას და ვალიკო ოსკანიანის სიმღერებს. შემდეგ სპეციალური აპარატით რენტგენის უხმარ და ნახმარ ფოტოფირებზე გადაიტანს ეს სიმღერები და გრამოფონის ფირფიტაც მზად არის. ამ ფირფიტებს თითოს 10 მანეთად ჰყიდის, ხოლო სოფლებში ორმაგად ჰყიდიან სპეკულანტები.

თბილისის მასწავლებლის სახლის ხმის ჩამწერ ლაბორატორიაში მრავალგვარი ფირფიტები აღმოჩნდა. როგორც ალ. მატინიანმა განმარტა, ამ ფირფიტებზე ჩაწერილი სიმღერებს სახელწოდებანი ასეთია: „დარდი“, „ლამაზო“, „ჯაბები“, „როკენროლი“, და „ბუგი-ვუგი“ უცხოური კინოფილმებიდან, „მაიოიკ“, „სტამბოლი“, „გარუნ ეკავ“ და სხვ.

ჩვენს ხელთ არის ფირფიტა, რომელსაც მელნით აქვს წარწერილი „ფ-ძე იასონ. 30 წლის, 1953 წელი“. ფირფიტაზე ჩაწერილია სიმღერა „გულით მინდა, რომ გიმღერო“, ამ ფირფიტაზე არის იასონის ფეხის თუ ხელის ძვლის რენტგენოლოგიური სურათი.

მეორე ფირფიტაზე, რომელზეც იგივე „გულით მინდა, რომ გიმღერო“ არის ჩაწერილი, აწერია ბ-ძე მაყვალა სიმონის ასული, 4 მარტი 1953 წელი № 504. ფირფიტაზე გამოსახულია ავადმყოფის გულმკერდის რენტგენოლოგიური სურათი.

სხვადასხვა ავადმყოფთა რენტგენოლოგიური სურათები ამ ლაბორატორიაში უხვად აღმოჩნდა. საინტერესოა, რომელი საავადმყოფოდან მოიტანეს ეს ფირფიტების „მასალა“? ამას ალბათ შემდეგ თვით ალ. მატინიანი იტყვის.

პლეხანოვის პროსპექტზე № 106 სახლის ეზოში არტელ „საქფოტოს“ 25-ე ატელიეს გამგის დ. კვერნაძის ფანტაზია უფრო შორს წასულა. ატელიეს კედელზე არის წარწერა „მოღაპარაკე ფოტოსურათები“. ვისაც უნდა, მივა ამ ატელიეში, 10-15 მანეთს გადაიხდის და თავისი სურათის გამოსახულებით შეიძენს გრამოფონის ფირფიტას, რომელზეც სურვილის მიხედვით ჩაწერენ მედოლეთა და მათი „დასტების“ რომელიც გნებავთ სიმღერას.

აქვე შეგიძლიათ იყიდოთ „მოღაპარაკე ფოტოსურათებიანი“ გრამოფონის ფირფიტა თბილისის პიონერიების გამოსაბულებით, რომელზეც ჩაწერილია რომას და სხვათა სიმღერები „ქორწილზე“, „მთვარეზე“ და ასე განსინჯეთ „სამურაბე“ თვალებზეც.

ამრიგად, ახალი ფირფიტებიც გამოიგონეს და ფოტოსურათებიც ალაპარაკეს, — ამაზე მეტი რაღა გინდათ?

სინტერესოა ვიცოდეთ, აპირებენ თუ არა ზემოხსენებული დაწესებულებების ხელმძღვანელები სათანადოდ დაფასონ მათი თანამშრომლების ეს „იმშვიათი ღვაწლი“.

ვ. გოზალიშვილი,
ბ. ხეჩუაშვილი.

უმჯობესდება პენსიონერთა მომსახურება

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს პენსიონერების მომსახურება შემნახველი სალაროების მიერ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობამ ამას წინათ ნება დართეს შესრულდეს პენსიონერთა დავალებანი, რომლებიც პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მეშვეობით იღებენ, — მათთვის კუთვნილი პენსიის თანხები გადაირიცხოს შემნახველი სალაროების ანაბრების ანგარიშებზე.

ეს წესი მეტად ხელსაყრელია პენსიონერებისათვის. მოკლე ხანში საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში შევიდა პენსიონერთა ათობით განცხადება, რომლებშიც ისინი თხოულობენ მათი პენსიების გადარიცხვას შემნახველ სალაროებში.

ასეთი წესი მნიშვნელოვნად უზოგავს დროს პენსიონერებს და გარდა ამისა პენსიების გადარიცხულ თანხებზე პენსიონერები მიიღებენ შემოსავალს ანაბრებზე პროცენტების სახით.

ქუთაისის მშრომელები ემზადებიან თბილისის იუბილესათვის

ე. ტაკიძე,
საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს აღინიშნება თბილისის დაარსების 1500 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელი საბჭოთა ხალხი.

თბილისი უძველესი და ულამაზესი ქალაქია. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მას გადაუტანია მტერთა გამუდმებული შემოსევა, ნგრევა და აწიოკება; მის დასამონებლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თურქი და სპარსი, მონღოლი და არაბი დამპყრობლები. თბილისი მოწამეა ათასი უბედურებისა, რაც მას თავს დასტყდომია ავბედობის ჟამს, მას უნახავს მრავალი გადამთიელის შემოსევა და აოხრება. მაგრამ ქართველი ხალხის გმირულმა სულმა, დამპყრობთა მიმართ სიძულვილმა შეგვინარჩუნა და კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო მომხიბვლელი გახადა მრავალჭირნახული ქალაქი.

თბილისთან მრავალსაუკუნოვანი ძმური მეგობრობით არის დაკავშირებული მასავით ჭაღარა ქალაქი ქუთაისი. ლიხთიმერელი ქართველები ყოველთვის ფეხზე დგებოდნენ და მიისწრაფოდნენ თბილისისაკენ, როცა მას საფრთხე ემუქრებოდა. თბილისის კარიბჭესთან შეერთებული ძალით იბრძოდა მთელი ქართველობა, ვინაიდან თბილისი იყო საქართველოს გული, მისი ღირსება და მშვენება, მისი გმირული სულის ყველაზე სრულყოფილად გამომხატველი.

მრავალქარიშხალგამოვლილი ქალაქის ნამდვილი აყვავება იწყება მაშინ, როცა საქართველოში დიდი ოქტომბრის შუქმა შემოანათა. ჩვენს დიად ეპოქაში თბილისი გახდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მძლავრი სოციალისტური ქალაქი. სილამაზისა და მშვენების ქალაქი, რომელსაც მაღალგანვითარებული მრეწველობა და კულტურა აქვს.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენი საყვარელი ქალაქის — თბილისის იუბილესათვის გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრის ქალაქ ქუთაისის მშრომელები. ქალაქის საწარმოთა კოლექტივები თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ. მაღალნაყოფიერი შრომის შედეგად ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 106,5 პროცენტით შეასრულეს და დედა-სამშობლოს 32,979 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს. ეს პირველი საჩუქარია თბილისისათვის.

ამჟამად ქუთაისში ფართოდ არის გაჩაღებული თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ქალაქის ბევრი მოწინავე საწარმოს, მათ შორის მანქანათსამშენებლო ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, მინის ტარის, ბარიტის, რძის ქარხნებისა და სამრეწველო კომბინატის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს მომდინარე წლის ათი თვის გეგმა გაანაღდონ დედაქალაქის იუბილეს დღისათვის — 18 ოქტომბრისათვის.

დიდმნიშვნელოვან თარიღს ახალი შრომითი აღმავლობით ხვდებიან ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, რკინიგზის ქუთაისის კვანძის, ლიტოპონის ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივები.

ქუთაისის ზოგიერთმა მოწინავე საწარმომ უკვე 8 თვის გეგმა შეასრულა. მათ შორის არის მინის ტარის ქარხნის კოლექტივი. აქ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 7 მილიონით მეტი ქილა გამოუშვეს, მინის მასის გამოყენების კოეფიციენტი 4 პროცენტით გაზარდეს. შვიდ თვეში რვა თვის საწარმოო გეგმა შეასრულა აგრეთვე ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა. წლის დამდეგიდან საწარმომ გამოუშვა 1.700 ათასი მანეთის ავეჯი. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 15 პროცენტით.

დიდი გადამეტებით შეასრულეს 8 თვის დავალებები ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატმა, რძის ქარხანამ, საქნავთბარიტისა და სხვა საწარმოებმა.

ქუთაისის მშრომელთა თავდადებული შრომა იმის საწინდარია, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ დედაქალაქისათვის მიცემულ პირობას, ახალი გამარჯვებებით შეხვდებიან თბილისის 1500 წლისთავს.

თბილისის იუბილესთან დაკავშირებით ქალაქში ფართო მასშტაბით ხორციელდება კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოწყობილია მდიდარი გამოფენა ლიტერატურისა, რომელიც ასახავს თბილისის თავგადასავალს. სისტემატურად ეწყობა ლექციები თბილისის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ქალაქის მშრომელებმა მოისმინეს საინტერესო ლექციები: პროფ. დ. გვრიტიშვილისა „თბილისის თავგადასავალი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ხანთაძისა—„თბილისი 1500 წლისაა“ და სხვ. ამავე თემებზე ლექციებს კითხულობენ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები ი. ბერძული, ლ. სანიკიძე და სხვ.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა გამართა პარტორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდის მუშაკების საქალაქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად საგაზეთაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფისა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ლექტორთა ძალებით ქალაქის მოსახლეობაში აგიტპუნქტების მიხედვით მასობრივად იქნება წაკითხული ლექციათ-მოხსენებები სახელოვან დედაქალაქზე, მის ისტორიულ წარსულზე, მისი განვითარების პერსპექტივებზე.

ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრა ამზადებს იუბილეს აღსანიშნავ სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს. კათედრის წევრები ამისათვის გულმოდგინედ მუშაობენ.

დიდი მოსამზადებელი მუშაობაა გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ბიბლიოთეკებში მოწყობილია თბილისისადმი მიძღვნილი თემატური გამოფენები. ეწყობა მკითხველთა კონფერენციები. მკითხველები ხშირად ისმენენ საინტერესო საუბრებს თბილისის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. ხშირად იმართება თბილისზე დაწერილ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვა, ეწყობა ექსკურსიები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების გასაცნობად.

ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი იუბილესათვის ამზადებს ა. სუმბათაშვილის „ღალატს“.

თბილისი ჩვენი მწერლების შემოქმედებითი შთაგონების უშრეტი წყაროა. მასზე არაერთ გამოჩენილ მწერალს შეუქმნია ამდენი ნაწარმოები. ქუთაისში მომუშავე მწერლებს სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ დედაქალაქის ცხოვრების მხატვრულ ასახვაში. დ. კვიცარიძემ, გ. სამხარაძემ, ა. გურჯიძემ, ო. მამფორიამ, ზ. კუხიანიძემ და სხვ. დაწერეს ამ თარიღისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გამოსაცემად ამზადებს სპეციალურ კრებულს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისში მომუშავე ლიტერატორებიც.

თბილისის იუბილესათვის მზადებას ფართო ადგილს უთმობენ საქალაქო გაზეთები „სტალინელი“ და „კუტაისსკაია პრავდა“. გაზეთ „სტალინელში“ სისტემატურად იბეჭდება საინტერესო სტატიები თბილისის წარსულის, აწმყოსა და მომავალი პერსპექტივების შესახებ. ამას წინათ გაზეთმა გამოაქვეყნა თბილისისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდი რუბრიკით „დიდი ქალაქის გაზაფხული“. საქალაქო გაზეთები აშუქებენ თბილისის ცხოვრებას, მის ინდუსტრიულ მაჯისცემას. უახლოეს დღეებში დაიბეჭდება წერილების სერია თბილისის რევოლუციურ წარსულზე, თბილისსა და ქუთაისის ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე, ხოლო იუბილეს დღისათვის გამოშვებული იქნება გაზეთების სპეციალური ნომრები.

დღესასწაულის წინა დღეებში ქუთაისის საწარმოებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში გაიმართება საზეიმო კრებები, მიტინგები. მოეწყობა მასობრივი სეირნობანი, საღამოებს გამართავენ თვითმოქმედი კოლექტივები. თბილისის იუბილეს დღე ქუთაისელთა ნამდვილი ზეიმი იქნება.

თბილისისათვის მრავალფეროვან საიუბილეო საჩუქრებს ამზადებენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელები. ამ დიადი დღესასწაულისათვის საიუბილეო საჩუქარს ამზადებს თბილისის უძველესი მეგობარი ქუთაისიც.

ჩვენი ქალაქის მშრომელებმა გადაწყვიტეს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე — ვარაზისხევის ქუჩის დასაწყისში ყვავილებით შემკულ სკვერში აღმართონ თავიანთი ქალაქის მკვიდრი შვილის, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის, „ქართველი ჩაპაევის“ ვასილ კიკვიძის ძეგლი.

თბილისელები ნახავენ ვ. კიკვიძის კომპოზიციურ ფიგურას. ამჟამად ფიგურა ჩამოსხმულია ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში“. კვარცხლბეკი აიგება კურსების რუხი პოლიორიტული გრანიტით, მისი სიმაღლე 4 მეტრამდე იქნება. კვარცხლბეკს შუაწელში შემოევლება სამოქალაქო ომის პერსონაჟებისა და ეპიზოდების ამსახველი მხატვრული ბრინჯაოს ბარელიეფი, ხოლო კვარცხლბეკის ქვედა ნაწილს დაამშვენებს ქართული ჩუქურთმით შემკობილი ფარი, რომელზეც ამოკვეთილი იქნება — „1500“. ქანდაკება შესრულებულია ქუთაისელი მოქანდაკეების ვ. მიზანდარისა და გ. ნიკოლაძის მიერ, ხოლო კვარცხლბეკის ავტორია ქუთაისელი არქიტექტორი გ. ცხაკაია.

ყოველივე ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, სრულყოფილად არ მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ქუთაისის მშრომელები განახორციელებენ დედაქალაქის იუბილეს შესახვედრად. ჩვენი ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა უხელმძღვანელონ იუბილესათვის მზადებას, ამ საქმეში კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

თბილისის 1500 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, მის დიად შთამაგონებელ ძალას.

სსრ კავშირის ეროვნული დღეები ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე

ბრიუსელი, 12 აგვისტო. (საკდესი). გრძელდება სსრ კავშირის ეროვნული დღეები ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე.

11 აგვისტოს საღამოს გამოფენის დიდ საკონცერტო დარბაზში უდიდესი, პირდაპირ გასაოცარი წარმატებით ჩაიარა სადღესასწაულო კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის დაახლოებით 450 მსახიობმა.

დარბაზში, რომელიც 2.500 მაყურებელს იტევს, ერთი თავისუფალი ადგილიც არ არის.

სამეფო ლოჟაში შემოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, მისი უდიდებულესობა ბელგიის მეფე ბოდუენ I და მათი თანმხლები პირები. ყველანი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით ეგებებიან საპატიო სტუმრებს.

კონცერტი იწყება დ. შოსტაკოვიჩის სადღესასწაულო უვერტიურით, რომელსაც მომხიბვლელად ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი სსრ კავშირის სახალხო არტისტის კ. ივანოვის დირიჟორობით.

აი გაისმის საბჭოთა კავშირის რადიოსადგურის სიგნალები და მის შემდეგ სოლოვიოვ-სედოის სიმღერა „მოსკოვის მიდამოების საღამოები". სიმღერას მოსკოველი მღერიან ყაზახები, ესტონელები, ქართველები, უკრაინელები, რუსები, უზბეკები და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა წარმომადგენლები.

შემდეგ გამოდიან ცნობილი მსახიობები — უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტი გ. იზმაილოვა, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ბეიბუტოვი, საბჭოთა ბალეტის ოსტატები — ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები ა. ოსიპენკო და ა. გრიბოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტები გ. ოლეინიჩენკო და რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ი. პეტროვი და სხვები. სწრაფი ტემპით მაყურებელთა თითქმის განუწყვეტელი ტაშის გრიალში ცეკვავენ საქართველოს სსრ ცეკვის ანსამბლის მსახიობები.

პირველი განყოფილება მთავრდება რუსული ცეკვით „პოლიანკა", რომელსაც ასრულებენ სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობები სსრ კავშირის სახალხო არტისტ ი. მოისეევის მხატვრული ხელმძღვანელობით.

ანტრაქტის დროს კ. ე. ვოროშილოვი და ბელგიის მეფე ბოდუენ I თავისთან იწვევენ მსახიობთა ჯგუფს და ესაუბრებიან.

მეორე განყოფილებას ხსნის უკრაინის სახელმწიფო ხალხური გუნდი გ. ვერიოვკას ხელმძღვანელობით. შემდეგ გამოდიან ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტი რ. ბაგლანოვა, ლატვიის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტები ვ. ვილციინი და გ. რიტენბერგი, სომხური სიმღერების შემსრულებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. საზანდარიანი და სხვები.

ჯ. ე. ვოროშილოვმა ინახულა ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის პავილიონები და არაბული ქვეყნების გაერთიანებული პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე ბრიუსელში

ბრიუსელი, 12 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ. მ. ფიოდოროვი). დღეს დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ბელგიის პავილიონის სოფლის მეურნეობის განყოფილება, ჩეხოსლოვაკიის პავილიონი და არაბული ქვეყნების გაერთიანებული პავილიონი.

ბელგიის პავილიონთან საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ბელგიის სოფლის მეურნეობის მინისტრი დე ვლესჰაუერი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალური მდივანი პარმენტეორი და ბელგიის ელჩი სსრ კავშირში ლორიდანი. კ. ე. ვოროშილოვი ყურადღებით ათვალიერებს აქ გამოფენილ ექსპონატებს, იძლევა ბევრ კითხვას.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა ბელგიის სოფლის მეურნეობის მინისტრს დე ვლესჰაუერს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გენერალურ მდივანს პარმენტეორს და ბელგიის სხვა წარმომადგენლებს გულთბილი მიღებისათვის.

მოძმე ჩეხოსლოვაკიის პავილიონში შესვლისას კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების შესახვედრად გამოვიდა ეროვნული კოსტიუმით გამოწყობილი ორი ჩეხოსლოვაკიელი ქალიშვილი, რომლებმაც პურ-მარილი მიართვეს სტუმარს. საბჭოთა სტუმრებს მიესალმებიან ჩეხოსლოვაკიის დესპანი ბელგიაში იოზიფი და პავილიონის გენერალური კომისრის მოვალეობის შემსრულებელი ფრიდრიხი. კ. ე. ვოროშილოვი ათვალიერებს ჩეხოსლოვაკიის პავილიონს, რომელშიც დიდი ოსტატობით ნაჩვენებია ჩეხოსლოვაკიის ხალხის მიღწევები, მისი ცხოვრება, ტექნიკა და კულტურა.

გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგებო, ამბობს გამოთხოვებისას კ. ე. ვოროშილოვი, გულთბილი მიღებისათვის. თქვენი პავილიონი მშვენიერია. პავილიონში შესანიშნავად ასახულია მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხი და მისი დიდი კულტურა.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები შემდეგ მიდიან არაბული ქვეყნების გაერთიანებულ პავილიონში. პავილიონის შესასვლელთან მათ გულთბილად მიესალმებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი ბელგიაში ჰასან მუჰარამი და პავილიონის გენერალური კომისარი მუჰამედ ალი ნამაზი და სხვები. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ათვალიერებენ პავილიონის განყოფილებებს, იძლევიან მრავალ კითხვას.

დათვალიერების დასასრულს პავილიონის დირექციამ კ. ე. ვოროშილოვს მიართვა სამახსოვრო საჩუქრები. კ. ე. ვოროშილოვმა სურათი გადაიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩთან და ერაყის დესპანთან ერთად, რის შემდეგ ხელი მოაწერა საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში.

არაბული ქვეყნების გაერთიანებული პავილიონიდან გამოსვლისას, რომელიც საბჭოთა კავშირის პავილიონის გვერდით მდებარეობს, ამხანაგ ვოროშილოვს და მის თანმხლებ პირებს გულთბილად მიესალმა მრავალი ათასი ადამიანი, რომლებიც საბჭოთა პავილიონის წინ მოედანზე შეიკრიბნენ სსრ კავშირის მსახიობთა მორიგი ღია კონცერტის მოლოდინში.

საბჭოთა სტუმრები სხდებიან ავტომანქანებში და მიემგზავრებიან ბელვედერში — ბელგიის მთავრობის გენერალური კომისრის (მსოფლიო გამოფენაზე) ბარონ მუნს დე ფერნიგის რეზიდენციაში.

კ. ე. ვოროშილოვმა საბჭოთა ორდენები გადასცა ბელგიელ მოქალაქეებს

ბრიუსელი, 12 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, რომელიც ამჟამად ბელგიაში იმყოფება მსოფლიო გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნული დღეების გამო, დღეს სსრ კავშირის საელჩოს შენობაში საბჭოთა ორდენები გადასცა ბელგიელ მოქალაქეთა ჯგუფს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა 1958 წლის მსოფლიო გამოფენის მოწყობასა და განხორციელებაში დამსახურებისათვის, გამოფენისა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარებაში.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცათ ბელგიის მთავრობის გენერალურ კომისარს მსოფლიო გამოფენაზე მუნს დე ფერნიგს, გამოფენის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ქალაქ ბრიუსელის ბურგომისტრს კოორემანსს, გამოფენის მთავარ არქიტექტორს ვან გუტენს. „საპატიო ნიშნის" ორდენი გადაეცა მსოფლიო გამოფენის საქმეთა მთავარ მომხსენებელს ლამბიიოტს, მსოფლიო გამოფენაზე შრომისა და ხელფასის საკითხთა ბელგიის მთავრობის გენერალური კომისრის მრჩეველს რენარს.

საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი ლიბანიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისა და იორდანიიდან დიდი ბრიტანეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს დღისით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს გადაგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი ლიბანიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისა და იორდანიიდან დიდი ბრიტანეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ და სთხოვა ეს პროექტი გაავრცელოს როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტი.

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტში ნათქვამია:

„გენერალური ასამბლეა, აღიარებს რა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ღონისძიებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შესანელებლად საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის, ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან,

ანდობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გააჭელიეროს ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფი იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფმა ლიბანში წარმოადგინა თავის მეორე მოხსენებაში, და მეთვალყურეთა ჯგუფი გაგზავნოს იორდანიაში ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანისადმი და ამ ქვეყნების საზღვრებზე მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის მიზნით".

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს საუბარი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გუშინ მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფაუზი.

გამართული საუბარი ეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხებს.

ა. ა. გრომიკო შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ჰამარშელდს

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობაში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი. შეხვედრას დაესწრო სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ა. ა. სობოლევი.

საუბარი ეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხებს.

ა. ა. გრომიკო შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი ჟორჟ-პიკოს

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ დღეს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი ჟორჟ-პიკო. საუბარი ეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხებს.

უნდა შეწყდეს აჯომგულის იარაღის გამოცდა

ტოკიო, 12 აგვისტო. (საკდესი). შეუკავებელი გამალებული ატომური შეიარაღება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ, და ამასთან დაკავშირებით ამერიკის ატომგულის იარაღის გამოცდები, რომლებიც რადიაქტიური ელემენტებით წამლავენ ატმოსფეროს, აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევენ იაპონელ ხალხში, რომელმაც 13 წლის წინათ თავის თავზე გამოსცადა ატომური დაბომბვის საშინელებანი.

კომენტარს უკეთებს რა დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომური რადიაციის სამეცნიერო კომიტეტის მოხსენებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ატომგულის იარაღის აფეთქებათა განგრძობა განუზომელ საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის მომავალს, გაზეთი „მაინიჩი" აღშფოთებით კითხულობს, როგორ შეუძლიათ ახლა განაცხადონ, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა „საჭიროა უშიშროების უზრუნველყოფისათვის".

როდესაც საბჭოთა კავშირმა, განაგრძობს გაზეთი, ყოველგვარი პირობის დაუდებლად შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა, ჩვენ მივესალმეთ ამ ნაბიჯს და მოვუწოდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს მიებაძნათ სსრ კავშირის მაგალითისათვის. მაგრამ დანანებით აღნიშნავს გაზეთი, ეს ქვეყნები დღემდე განაგრძობენ ატომგულის იარაღის გამოცდას. გაზეთი მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისს ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდა.

გაზეთი „იომიური", აღნიშნავს რა, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის განგრძობის შედეგად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა, გამოთქვამს იმედს, რომ ამ გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საკითხი განხილვის საგანი გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგ სესიაზე, რომელიც სექტემბერში უნდა მოეწყოს.

სოხუმი. რუსთაველის ქუჩის ხედი.
ფოტო გ. გოგობიასი.

ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერინარიის სპეციალისტები საქართველოში

ხუთ დღეს იყო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერინარიის მუშაკთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ამ ორი ქვეყნის კულტურული და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

დიდი ინტერესით გაეცნო დელეგაცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობას. სტუმრები ესაუბრნენ ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ი. კვესიტაძეს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ლ. ყანჩაველს, აკადემიკოს ს. ერქომაიშვილს, ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს. სტუმრებს გააცნეს ქართველი სელექციონერების, კერძოდ, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ნატროშვილისა და ზოომექანიკოს ი. ბაძოშვილის მუშაობა, რომლებმაც გამოიყვანეს ახალი ჯიშის ცხვარი. ისინი განსაკუთრებით დაინტერესა ინსტიტუტში შექმნილმა პრეპარატებმა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ.

თბილისის ზოოტექნიკა-ვეტერინარიის ინსტიტუტში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული სტუმრები გაეცნენ ზოოტექნიკოსთა და ვეტერინარ ექიმთა კადრების მომზადების სისტემას.

რესპუბლიკის მეცხვარეობის წამყვანი რაიონის — ლუშუთის რაიონის კოლმეურნეობათა სამოვრებზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული სპეციალისტები ეცნობოდნენ ზათხოსლის პერიოდში მეცხვარეობის ფერმების ვეტერინარულ-ზოოტექნიკური მომსახურების ორგანიზაციას. ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერინარიის სპეციალისტთა დელეგაცია ტაშკენტს გაემგზავრა.

(საქდესი).

კინოთეატრ „რუსთაველის" რეკონსტრუქცია

თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით ამ დღეებში დაიწყება ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კინოთეატრის — „რუსთაველის" რეკონსტრუქცია, არსებული ჩვეულებრივი ეკრანის მაგივრად კინოთეატრში გაკეთდება ფართო ეკრანი, რომლის სიგანე 16 მეტრამდე იქნება, ხოლო სიმაღლე 6 მეტრზე მეტი.

ფართო ეკრანიან კინოთეატრად გადაკეთებასთან დაკავშირებით მოხდება მაყურებელთა დარბაზის რეკონსტრუქცია. დარბაზში დაიდგმება ახალი სკამები, რომლებიც ახლებურად განლაგდება. რეკონსტრუქციის შემდეგ მაყურებელთა დარბაზში 1.100 ადგილი იქნება.

მთლიანად შეიცვლება არსებული მოძველებული კინოსაპროექციო და ბგერის აპარატურა უახლესი ტიპის დანადგარებით. ფოიეში ორკესტრისათვის არსებული ესტრადა ისე გადაკეთდება, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდეს აკუსტიკა. დაიდგმება ახალი სკამები. დიდი ყურადღება მიექცევა კინოთეატრის სამკითხველოს კეთილმოწყობას და მისთვის სათანადო ლიტერატურის შეძენას. მაყურებელთა დარბაზის უკეთ გათვისებისათვის განხორციელდება ეფექტური ღონისძიებანი. კინოთეატრის რეკონსტრუქცია შეეხება მის ფასადსაც: კერძოდ, განახლდება ფასადის ქვემო ნაწილი, შეკეთდება ბალკონები, სარეკლამო ვიტრინები, გაკეთდება ნეონის ნათურებიანი რეკლამები.

კინოთეატრ „რუსთაველის" რეკონსტრუქცია სექტემბერში დამთავრდება. მაშინ იგი მთელ რესპუბლიკაში ერთერთი ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი კინოთეატრი იქნება.

ზესტაფონი. ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ახალი 54-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტის ამგეები

მსოფლიო ჩემპიონატი

ბრატისლავაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება საპარაშუტო სპორტში მსოფლიო პირველობაზე.

ამ შეხვედრებში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი სპორტული შედეგი აჩვენეს. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ვ. ოსტროვსკიმ და ნ. პრიახინამ.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ სსრ კავშირის სპორტსმენ ქალთა და კაცთა კოლექტივები.

საზონათშორისო სამადრაკო ტურნირი

პორტოროჟი, 12 აგვისტო. (საკდესი). ჰადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. მატანოვიჩს (იუგოსლავია) პარტიაში ტალის წინააღმდეგ (სსრ კავშირი) დიდი უპირატესობა ჰქონდა და იგი გამარჯვებით დაამთავრა. ნეიკირხი (ბულგარეთი) თამაშის განუახლებლად დანებდა ავერბახს (სსრ კავშირი). ნეიკირხი დანებდა აგრეთვე ლარსენს (დანია). შერვინმა (ამერიკის შეერთებული შტატები) მოუგო დეგრეიფს (კოლუმბია), პანომ (არგენტინა) — კარდოსოს (ფილიპინები). კარდოსომ მეორე პარტია სანგვინეტისთან ყაიმით დაამთავრა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ოლაფსონ (ისლანდია) — მატანოვიჩის, გლიგორიჩ (იუგოსლავია) — სანგვინეტისა და ფიშერ (ამერიკის შეერთებული შტატები) — როსეტოს შეხვედრები.

ოთხი ტურის შემდეგ ავერბახსა და პეტროსიანს სამ-სამი ქულა აქვთ.

ახალი მსოფლიო რეკორდები

სასპორტო საზოგადოება „დინამოსა" და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სპარტაკიადები მოსკოვსა და კიევში აღინიშნა ახალი წარმატებებით. კერძოდ, მაღალი შედეგები მოიპოვეს ძალოსნებმა, რომლებმაც მსოფლიოს ორი ახალი რეკორდი დამყარეს.

ქვემსუბუქი წონის შტანგისტმა ე. მინაევმა (მოსკოვი) აპიმვაში აჩვენა 118 კილოგრამი, ხოლო ლატვიელმა ვ. სტეპანოვმა (ქვემძიმე წონა) — 153 კილოგრამი. ორივე ეს შედეგი აღემატება მსოფლიო რეკორდებს.

* * *

მინსკში „სპარტაკის" ძალოსანთა შეჯიბრებაში ბ. ლობჟანიძემ (მსუბუქი წონა) აპიმა 130 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა.

სპარტაკიადა გრძელდება

სპორტული თამაში მოსწავლეთა სპარტაკიადის ერთ-ერთი მთავარი და მიმზიდველი ნაწილია. ამას მოწმობს ის დიდი ინტერესი, რასაც მაყურებლები იჩენენ ჩოგბურთელთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა და ფეხბურთელთა ყოველდღიური შეხვედრებისადმი.

ჭაბუკ კალათბურთელთა კოლექტივებს შორის პირველ შეხვედრებში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოსა და უკრაინის გუნდებმა. 12 აგვისტოს საქართველოს კალათბურთელთა კოლექტივმა დაამარცხა ტაჯიკეთის გუნდი ანგარიშით 100 : 31. ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვეს უკრაინელებმა, რომლებმაც დაამარცხეს მოსკოვისა და თურქმენეთის გუნდები 67 : 58, 92 : 48. გუშინ დილით მოსკოველებმა მოუგეს თურქმენეთის გუნდს 98 : 61.

სარეკორდო შედეგით დამთავრდა ესტონეთისა და საქართველოს გუნდების შეჯიბრება წყალბურთში. გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა 20 : 0.

გუშინ გრძელდებოდა ჩოგბურთელთა შეჯიბრება. მატჩების შედეგები ასეთია: ჭაბუკები — აზერბაიჯანი — უზბეკეთი 3 : 4, თურქმენეთი — ტაჯიკეთი 2 : 5, გოგონები — მოსკოვი — უკრაინა 6 : 1, ესტონეთი — სომხეთი 7 : 0, ლენინგრადი — საქართველო 1 : 6.

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ფრენბურთელთა შეხვედრები. გუშინ საქართველოს გოგონათა გუნდმა დაამარცხა თურქმენეთის ფრენბურთელები 3 : 0, ხოლო ჭაბუკთა გუნდმა ასეთივე ანგარიშით — მოლდავეთის გუნდი.

13 აგვისტოს დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა შეხვედრები. დილის მატჩებმა გამარჯვება მოიპოვეს რსფსრ, ბელორუსიის, ლატვიისა და სხვა გუნდებმა.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

12 აგვისტოს ლენინგრადში საკავშირო პირველობაზე მოსკოვის დინამოელები შეხვდნენ ლენინგრადის „ადმირალტეის" ფეხბურთელთა კოლექტივს. მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

„ბ" კლასი

ქუთაისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდი 12 აგვისტოს ბაქოში შეხვედრებზე ადგილობრივ „ნეფტიანიკს" და გაიმარჯვა ანგარიშით 2 : 1.

რედაქტორი პ. რატიანი.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1958 წლის 14 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის

გასტროლები

15 აგვისტოს იწყება ბილეთების გაყიდვა ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე. ბილეთები გაიყიდება თეატრის სალაროებში დღის 11 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მიიღება განაცხადები დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან.

სპექტაკლების დასაწყისი დღისით — 12 საათზე, საღამოს — 8 საათზე.

ტელეგადაცემათა პროგრამა

14 აგვისტოსათვის

20.00 — „კინოპარატით ჩვენს რესპუბლიკაში" (თბილისის ტელეხედვის სტუდიის გამოშვება), 20.10 — მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალების ფურცლებზე, 20.30 — კინოკომედია „მხიარული ახალგაზრდობა".

დღეს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — მუდამ სატრფოსთან (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — საქმე ჯერ არ დამთავრებულა, **ამირანი** (საზამთრო), **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, **ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა** (საზაფხულო) — მხიარული ახალგაზრდობა, **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **ვაჟა-ფშაველა** — მისტერ იქსი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მაქსიმე პერეპელიცა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ძალად მძღოლი.

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — საქმე ჯერ არ დამთავრებულა, **ამირანი** (საზამთრო), **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, **ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა** (საზაფხულო) — მხიარული ახალგაზრდობა, **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **ვაჟა-ფშაველა** — მისტერ იქსი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მაქსიმე პერეპელიცა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ძალად მძღოლი.

პოლკოვნიკები ი. ნოზაძე, ვ. მიხაილოვი, გ. ლორთქიფანიძე ოჯახებით იუწყებიან სამედიცინო სამსახურის მაიორის

კარპე სერგოს-ძე ანანოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-VIII, 5 ს. ძერჟინსკის სახელობის კლუბიდან.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მუშაკები იუწყებიან

პარასკევა მელიტონის ასულ

გეგეჭკორის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII, დაბა გეგეჭკორში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3 72 80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65,

УД 03961 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2